

ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 20 დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!



ლოგიკური მსჯელობა

A ტიპის ტესტი

17 ამოცანა

დრო – 1 სთ 10 წთ

ამოცანა 1.

მოცემულია:

- ტყუილია, რომ მიხომ არც მწვადი დაწვა და არც შამფური.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული წინადადების **ტოლფასი**?

- (ა) მიხომ მწვადიც დაწვა და შამფურიც.
- (ბ) ტყუილია, რომ მიხომ მწვადი ან შამფური დაწვა.
- (გ) მიხომ ან მწვადი დაწვა, ან შამფური, ან ორივე.
- (დ) ტყუილია, რომ მიხომ მწვადიც დაწვა და შამფურიც.
- (ე) მიხოს არც მწვადი დაუწვავს და არც შამფური.

ამოცანა 2.

პარლამენტმა სესიაზე რიგ-რიგობით თითოჯერ უნდა განიხილოს სულ ოთხი კანონპროექტი – A, B, C და D. განხილვის თანამიმდევრობისათვის დაცული იქნება შემდეგი პირობები:

- A არ უნდა იყოს ბოლო.
- D არ უნდა იყოს მეორე.
- C უნდა განიხილონ D-ს შემდეგ, თუმცა ამ ორს შორის ზუსტად ერთი კანონპროექტის განხილვა უნდა შედგეს.

ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს სწორად კანონპროექტების განხილვის თანამიმდევრობას?

- (ა) პირველი იქნება C, მეორე – D.
- (ბ) პირველი იქნება D, მესამე – A.
- (გ) მეორე იქნება D, მესამე – B.
- (დ) მეორე იქნება A, მეოთხე – B.
- (ე) მესამე იქნება A, მეოთხე – B.

ამოცანა 3.

მოცემულია სამი მსჯელობა:

- I. ანის არ დაუგზავნია თავისი CV პოტენციურ დამსაქმებლებთან. სამსახურის შეცვლას რომ აპირებდეს, ანი პოტენციურ დამსაქმებლებთან CV-ს დააგზავნიდა. შესაბამისად, ანი არ აპირებს სამსახურის შეცვლას.
- II. რადგან სიცოცხლის არსებობისათვის აუცილებელია პლანეტაზე წყლის არსებობა, ხოლო X პლანეტაზე წყლის დიდი მარაგის არსებობაა დადასტურებული, ამიტომ X პლანეტაზე არსებობს სიცოცხლე.
- III. რადგან უმუშევრობის დონე მცირდება და უმუშევრობის დონის შემცირებას ინფლაციის ზრდა მოსდევს, ამიტომ ინფლაცია გაიზრდება.

მოცემული მსჯელობებიდან რომელია ლოგიკურად მართებული?

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და II.
- (ე) მხოლოდ I და III.

ამოცანა 4.

ამონარიდი დისერტაციიდან:

იმის ფონზე, რომ იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციათა რიცხვი და გავლენა, სახელმწიფოს ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში უმნიშვნელო გვეჩვენება. თუკი საერთაშორისო ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობა გაიზრდება, ასევე გაიზრდება საერთაშორისო სამართლის როლიც. თუმცა, საერთაშორისო სამართალს არ შეუძლია მოქმედება ერი-სახელმწიფოს გარეშე, არა უბრალოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოები მას მატერიალურად უზრუნველყოფენ და იმ აგენტებს წარმოადგენენ, რომლებსაც ეს ნორმები შეეხება, არამედ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ აგენტებს, რომლებიც ქმნიან და აუქმებენ კანონებს.

ჩამოთვლილთაგან რომელშია უფრო სწორად წარმოდგენილი ამონარიდის შინაარსი?

- (ა) საერთაშორისო ორგანიზაციათა რიცხვის ზრდისა და გავლენის პირობებში კანონების შემქმნელი და გამაუქმებელი აგენტები არ იცვლება.
- (ბ) საერთაშორისო სამართლის როლის გაძლიერების შედეგად ერი-სახელმწიფოების ადგილი პოლიტიკაში უმნიშვნელო იქნება.
- (გ) საერთაშორისო ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის გაზრდის შემთხვევაშიც ერი-სახელმწიფოს არსებობა მაინც აუცილებელ ფაქტორად დარჩება.
- (დ) ერი-სახელმწიფოს, როგორც კანონების შემქმნელ-გამაუქმებელი აგენტის, არსებობას საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს.
- (ე) საერთაშორისო ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის ზრდის ფონზე იზრდება იმ აგენტების მნიშვნელობა, რომლებსაც ეს კანონები ეხება.

ამოცანა 5.

შოუს ხუთი კონკურსანტიდან – ვატო, ზაზა, თიკო, იაგო და კატო – მხოლოდ ერთმა მიიღო „ოქროს ბილეთი“. კითხვაზე, თუ ვინ მიიღო ეს ბილეთი, მათ შემდეგი პასუხები გასცეს:

ვატო: იაგომ მიიღო.

ზაზა: მე მივიღე.

თიკო: ვატომ მიიღო.

იაგო: მე მივიღე.

კატო: თიკომ მიიღო.

სიმართლე მხოლოდ მან თქვა, ვინც „ოქროს ბილეთი“ მიიღო. ვინ იყო ეს?

(ა) ვატო.

(ბ) ზაზა.

(გ) თიკო.

(დ) იაგო.

(ე) კატო.

ამოცანა 6.

მოცემულია პირობა:

არსებობს ისეთი დავალება, რომელიც არცერთ რელევანტურ კომპეტენციას არ ამოწმებს, მაგრამ მხატვრული სიუჟეტი აქვს. მხატვრული სიუჟეტის მქონე ყველა დავალება კი განსაკუთრებით საინტერესოა. თუმცა, ტესტში შეტანილი ყველა დავალება მხატვრული სიუჟეტის მქონე როდია. ტესტში შეტანილი თითოეული დავალება კონკრეტულ რელევანტურ კომპეტენციას ამოწმებს.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ტესტში შეტანილი ყველა დავალება როდი ამოწმებს რაიმე კონკრეტულ რელევანტურ კომპეტენციას.
- (ბ) არსებობს დავალება, რომელიც არც მხატვრული სიუჟეტის მქონეა და არც რელევანტურ კომპეტენციას ამოწმებს.
- (გ) ტესტში შეტანილი ყველა დავალება როდია საინტერესო.
- (დ) არსებობს მხატვრული სიუჟეტის მქონე დავალება, რომელიც არ არის ტესტში შეტანილი.
- (ე) ყველა დავალებას, რომელიც რელევანტურ კომპეტენციას ამოწმებს, მხატვრული სიუჟეტი აქვს.

ამოცანა 7.

კუნძულზე სულ სამი შუქურაა, რომლებიც შემთხვევითად ინთება და ქრება. სამი კუნძულელი – ლოტე, მანუ, სისა – სხვადასხვა ადგილას დგას. ლოტე ხედავს მხოლოდ ორ შუქურას, მანუ – მხოლოდ ერთს, ხოლო სისა – ვერცერთს. მას შემდეგ, რაც მათ გაიგეს, რომ მოცემულ მომენტში ამ შუქურებიდან **ორი ანთია, ერთი კი ჩამქრალია**, თითოეულმა განაცხადა, რომ **ზუსტად იცოდა**, თუ რომელი შუქურა იყო ანთებული და რომელი ჩამქრალი.

რომელ კუნძულელზე შეიძლება ითქვას **დანამდვილებით**, რომ მან იცრუა?

- (ა) არცერთზე.
- (ბ) მხოლოდ სისაზე.
- (გ) მხოლოდ მანუზე.
- (დ) მხოლოდ სისაზე და მანუზე.
- (ე) სამივეზე.

შენიშვნა: ცხადია, იგულისხმება, რომ ვინც შუქურას ხედავს, შეუძლია გაარჩიოს, ანთია ის თუ ჩამქრალია; ამასთან, მათ რაიმე სხვა დამატებითი ინფორმაცია არ გააჩნიათ.

ამოცანები 8-9 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

ერთ-ერთი უცხოური წიგნის ქართულად ნათარგმნი გამოცემა მხოლოდ ორია. ისინი A და B გამომცემლობებმა ცალ-ცალკე გამოსცეს. A გამომცემლობამ, რომელმაც ბევრად ადრე გამოსცა თავისი ვარიანტი, სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომ B-მ თარგმანი თვითონ კი არ შეასრულა, არამედ გამოიყენა A-ს მიერ თარგმნილი ვერსია. B-მ ბრალდება უარყო და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს ორი ქართული ვერსია ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად არის შესრულებული.

ამოცანა 8.

ექსპერტიზის შედეგად დადგენილი მოცემული ფაქტებიდან რომელი ამყარებს A-ს პოზიციას და რომელი – B-ს პოზიციას?

- I. A-ს მიერ გამოცემულ ვერსიაში დაშვებული მექანიკური და გრამატიკული შეცდომები ასევე გვხვდება B-ს მიერ გამოცემულ ვერსიაში.
- II. B-მ საკუთარი ვერსია ბევრად ნაკლები დანახარჯებით და ბევრად მცირე დროში შექმნა, ვიდრე ამ ტიპის თარგმანს სჭირდება.
- III. ამ ორი ვერსიის გაფორმება: შრიფტი, ყდა, ილუსტრაციები და სხვ. საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.
- IV. წიგნის ავტორისგან როგორც A-ს, ისე B-ს ჰქონდა მიღებული უფლება, რომ გამოეცა ქართული თარგმანი.

- (ა) A-ს პოზიციას ამყარებს I და II, ხოლო B-ს პოზიციას – არცერთი.
- (ბ) A-ს პოზიციას ამყარებს I და II, ხოლო B-ს პოზიციას – III და IV.
- (გ) A-ს პოზიციას ამყარებს მხოლოდ I, ხოლო B-ს პოზიციას – მხოლოდ III.
- (დ) A-ს პოზიციას ამყარებს მხოლოდ II, ხოლო B-ს პოზიციას – მხოლოდ IV.
- (ე) A-ს პოზიციას ამყარებს I, II და IV, ხოლო B-ს პოზიციას – III.

ამოცანა 9.

ქვემოთ მოცემული ფაქტებიდან ყველაზე მეტად რომელი შეასუსტებს **B** კომპანიის პოზიციას სასამართლოზე?

- (ა) ორივე ვერსია სტილისტურად ძალიან ჰგავს ერთმანეთს.
- (ბ) ორივე ვერსიის სტრუქტურა (თავებად დაყოფა) იდენტურია.
- (გ) ორივე ვერსიაში პერსონაჟთა სახელები იდენტურია.
- (დ) საზოგადოების დამოკიდებულება ორივე ვერსიის მიმართ ძალიან ჰგავს ერთმანეთს.
- (ე) ორივე ვერსიის გამოცემაზე ერთი და იმავე რაოდენობის ადამიანი იყო ჩართული.

ამოცანა 10.

დავუშვათ, ჭეშმარიტია, რომ:

- სრული აღჭურვილობის მქონე ლაბორატორიაში მომუშავე ყოველ ექსპერტს შეუძლია გენეტიკური ანალიზის ჩატარება, სხვას კი – არა.
- ლიცენზიის მქონე ყოველ ლაბორატორიაში მუშაობს თანამშრომელი, რომელსაც გენეტიკური ანალიზის ჩატარება შეუძლია.
- თუ ვინმეს არ შეუძლია გენეტიკური ანალიზის ჩატარება, მაშინ მას არც დნმ-ის ფრაგმენტების სეკვენირება შეუძლია.
- გეგის შეუძლია დნმ-ის ფრაგმენტების სეკვენირება.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი პირობა არ გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) გეგი ექსპერტია.
- (ბ) გეგის შეუძლია გენეტიკური ანალიზის ჩატარება.
- (გ) გეგი ლიცენზიის მქონე ლაბორატორიაში მუშაობს.
- (დ) გეგი სრული აღჭურვილობის მქონე ლაბორატორიაში მუშაობს.
- (ე) გეგი ისეთ ლაბორატორიაში მუშაობს, სადაც მუშაობს ერთი მაინც ექსპერტი, რომელსაც დნმ-ის ფრაგმენტების სეკვენირება შეუძლია.

ამოცანა 11.

მოცემულია:

თუ სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი არ იწვევს უთანხმოებას სამეფო კარზე, მაშინ არცერთი ვეზირი არ ურჩევს როსტევანს, რომ თინათინი თანამოსაყდრედ გამოაცხადოს. ამასთან, თუ როსტევანს ყველა ვეზირი ურჩევს, რომ სიცოცხლეშივე დასვას სამეფო ტახტზე ქალიშვილი, ის თინათინს თანამოსაყდრედ გამოაცხადებს.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) თუ როსტევანს ზოგიერთი ვეზირი ურჩევს, რომ თავის სიცოცხლეში არ დასვას ქალიშვილი სამეფო ტახტზე, მაშინ ის თინათინს თანამოსაყდრედ არ გამოაცხადებს.
- (ბ) თუ როსტევანი თინათინს თანამოსაყდრედ არ გამოაცხადებს, მაშინ სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი არ იწვევს უთანხმოებას სამეფო კარზე.
- (გ) თუ როსტევანს ყველა ვეზირი ურჩევს, რომ თავის სიცოცხლეში არ დასვას სამეფო ტახტზე ქალიშვილი, მაშინ სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი არ იწვევს უთანხმოებას სამეფო კარზე.
- (დ) თუ სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი არ იწვევს უთანხმოებას სამეფო კარზე, როსტევანი თინათინს თანამოსაყდრედ არ გამოაცხადებს.
- (ე) თუ ვეზირი სოგრატი ურჩევს როსტევანს, რომ გამოაცხადოს თინათინი თანამოსაყდრედ, მაშინ სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი უთანხმოებას იწვევს სამეფო კარზე.

ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

სუპერმარკეტს სამი სხვადასხვა ტიპის სულ რვა სალარო აქვს. 3 სალარო სტანდარტულია, 3 – ექსპრესი, 2 კი – კორპორატიული. ამ სალაროებში უნდა გადანაწილდეს რვა მოლარე: A, B, C, D, E, F, G და H. თითო მოლარე თითო სალაროსთან იმუშავებს. გადანაწილებისას დაცული იქნება შემდეგი პირობები:

- G იმუშავებს ექსპრეს სალაროსთან.
- E და C სხვადასხვა ტიპის სალაროებთან იმუშავებენ.
- A და E ერთი და იმავე ტიპის სალაროებთან იმუშავებენ.
- თუ H ექსპრეს სალაროსთან იმუშავებს, მაშინ D და B კორპორატიულ სალაროებთან იმუშავებენ.
- თუ F კორპორატიულ სალაროსთან იმუშავებს, მაშინ H და C ერთი და იმავე ტიპის სალაროებთან იმუშავებენ.

ამოცანა 12.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს მოლარეთა განაწილება სალაროების მიხედვით?

(ა) სტანდარტული: A, C, H,

ექსპრესი: D, E, G,

კორპორატიული: B, F.

(ბ) სტანდარტული: A, D, E,

ექსპრესი: F, G, H,

კორპორატიული: B, C.

(გ) სტანდარტული: A, E, F,

ექსპრესი: B, D, G,

კორპორატიული: C, H.

(დ) სტანდარტული: A, B, E,

ექსპრესი: C, D, G,

კორპორატიული: F, H.

(ე) სტანდარტული: A, C, E,

ექსპრესი: F, G, H,

კორპორატიული: B, D.

ამოცანა 13.

თუ H ექსპრეს სალაროსთან იმუშავებს, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

- (ა) A იმუშავებს ექსპრეს სალაროსთან.
- (ბ) B იმუშავებს სტანდარტულ სალაროსთან.
- (გ) C იმუშავებს კორპორატიულ სალაროსთან.
- (დ) E იმუშავებს ექსპრეს სალაროსთან.
- (ე) F იმუშავებს სტანდარტულ სალაროსთან.

ამოცანა 14.

თუ F კორპორატიულ სალაროსთან იმუშავებს, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი წყვილი ვერ იმუშავებს ერთისა და იმავე ტიპის სალაროებთან?

- (ა) A და B.
- (ბ) A და G.
- (გ) B და F.
- (დ) C და D.
- (ე) D და H.

ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

მუნიციპალური ფონდი ინფრასტრუქტურულ პროექტებს აფინანსებს. სულ წარდგენილია რვა – A, B, C, D, E, F, G, H – პროექტი, რომელთაგანაც ფონდი დააფინანსებს ზუსტად ოთხს. პროექტების შერჩევისას დაცული იქნება შემდეგი პირობები:

- E და F პროექტიდან მხოლოდ ერთი დაფინანსდება.
- თუ დაფინანსდება A, მაშინ არ დაფინანსდება B.
- თუ დაფინანსდება D, მაშინ არ დაფინანსდება F.
- თუ არ დაფინანსდება B, მაშინ დაფინანსდება D.

ამოცანა 15.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების სია?

- (ა) A, B, D, E.
- (ბ) A, B, F, G.
- (გ) A, D, E, F.
- (დ) B, C, F, H.
- (ე) B, D, F, G.

ამოცანა 16.

თუ დაფინანსდება F, მაშინ ოთხეულების შერჩევის სულ რამდენი შესაძლო ვარიანტი აქვს ფონდს?

- (ა) ორი.
- (ბ) სამი.
- (გ) ოთხი.
- (დ) ხუთი.
- (ე) ექვსი.

ამოცანა 17.

თუ A და D პროექტებიდან მხოლოდ ერთი დაფინანსდება, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად მცდარი?

- (ა) A არ დაფინანსდება.
- (ბ) B დაფინანსდება.
- (გ) H არ დაფინანსდება.
- (დ) C დაფინანსდება.
- (ე) E არ დაფინანსდება.

ტესტის დასასრული